იურიდიული დახმარების სამსახური

მის: თამარ მეფის გამზ. №14, 0112
თბილისი, საქართველო
ტელ.: +995 /32/ 292 00 55
ელ-ფოსტა: council@legalaid.ge
ვებ-გვერდი: www.legalaid.ge

იურიდიული დახმარების საბჭო

№ 30 „05" „ნოემბერი" 2015 წ.

„სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 13 ივლისის № 24 გადაწყვეტილების შეჩერების თაობაზე

2015 წლის 16 ოქტომბერს გამართულ იურიდიული დახმარების საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების შესახებ, იურიდიული დახმარების ბიუროების მიერ წერილობით წარმოდგენილი მოსაზრებების საფუძველზე, იურიდიული დახმარების საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. 2016 წლის 05 მარტამდე შეჩერდეს იურიდიული დახმარების საბჭოს 2015 წლის 13 ივლისის № 24 გადაწყვეტილების მოქმედება.

2. იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გაწეული იურიდიული დახმარების ხარისხის შეფასების წესისა და კრიტერიუმების ხელახალი განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შეიქმნას სამუშაო ჯგუფი იურიდიული დახმარების საბჭოს, სამსახურის აპარატისა და იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატთა შემადგენლობით.

3. ეთხოვოს იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს, 2015 წლის 15 ნოემბრამდე, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიზნით, წარმოადგინოს სამსახურის აპარატის თანამშრომელთა კანდიდატურები არაუმეტეს ოთხი კანდიდატურისა.

4. ეთხოვოს იურიდიული დახმარების ბიუროების უფროსებს, 2015 წლის 15 ნოემბრამდე, ბიუროს ადვოკატებთან შეთანხმებით, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიზნით, თითოეული ბიუროდან წარმოადგინონ ბიუროს ადვოკატთა კანდიდატურები, არაუმეტეს სამი კანდიდატურისა.

გადაწყვეტილება ძალაში შედის 2015 წლის 05 ნოემბრიდან.

იურიდიული დახმარების საბჭოს თავმჯდომარე: ელზა ლეშკაშელი

თავმჯდომარის მოადგილე: ხათუნა ფურელიანი

საბჭოს წევრები:

ეკატერინე ფოფხაძე

კახაბერ სოფრომაძე

ილია ჭანტურაია

ბონდო ალასანია

ვალერი კვანტალიანი